

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
განახლებული ვარიანტი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2021 წლის 29 ივნისი №01-03/10 ბრძანებით

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

განვითარების სამწლიანი სამოქმედო გეგმა
განახლებული ვარიანტი
(2021-2023 წლები)

შესავალი

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სამწლიანი გეგმა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაყრდნობითაა შემუშავებული და შემდეგ ძირითად მიმართულებებს მოიცავს:

1. აკადემიური პროგრამების განვითარება,
2. ინფრასტრუქტურის განვითარება,
3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება,
4. სტუდენტური სერვისების განვითარება,
5. ინტერნაციონალიზაციის განვითარება,
6. უწყვეტი განათლების კომპონენტის განვითარება,
7. პერსონალის და ადმინისტრირების განვითარება,

სამწლიანი სამოქმედო გეგმის ტერმინთა განმარტება

სტრატეგიული მიზანი - სტრატეგიული განვითარების მიმართულება, რომლებიც კოდიფიცირებულია ქართულენოვანი შესაბამისი აბრევიატურით.

აქტივობა - სტრატეგიული მიზნის განსახორციელებლად დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალი.

პასუხისმგებელი ერთეული - მიუთითებს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე.

შესრულების ინდიკატორი - დაგეგმილი აქტივობის შესრულების შესაბამისი ინდიკატორი, რომლის მიხედვით ხდება განხორციელებული აქტივობის შეფასება. შესრულების დამადასტურებელი გაზომვადი მაჩვენებელი.

განხორციელების პერიოდი - კონკრეტული აქტივობის დაწყებისა და დასრულების მოსალოდნელი პერიოდები.

დაგეგმილი ბიუჯეტი - აქტივობის შესასრულებლად გამოყოფილი ბიუჯეტი.

1. აკადემიური პროგრამების განვითარება

1.1. აქტივობა: სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია

პასუხისმგებელი ერთეული: სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი:

15.10.2019 _ 30.06.2020 (წარდგენის ვადა 31.06.2020_მდე).

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ სამართალმცოდნეობის ახალი პროგრამის თვითშეფასება და თანდართული მასალები
- ✓ გარე შეფასების (აკრედიტაციის დასკვნა) რეკომენდაციების, რჩევების გათვალისწინების ამსახველი მასალები

1.2. აქტივობა: მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

პასუხისმგებელი ერთეული: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი: 15.10.2018 _ 31.12.2019 (წარდგენის ვადა 01.07.2019_მდე).

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება და თანდართული მასალები
- ✓ გარე შეფასების (აკრედიტაციის დასკვნა) რეკომენდაციების, რჩევების გათვალისწინების ამსახველი მასალები

1.3. აქტივობა: კვალიაფიკაციის ახალ ჩარჩოსთან მათემატიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა.

პასუხისმგებელი ერთეული: აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი: 11.02.2019 _ 31.12.2020

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ მათემატიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისი სილაბუსები

1.4. აქტივობა: განათლების 300 კრედიტიანი პედაგოგიური პროგრამის აკრედიტაცია.

პასუხისმგებელი ერთეული: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი: 15.10.2018 _ 31.12.2019 (წარდგენის ვადა 01.07.2019_მდე).

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ განათლების 300 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება და თანდართული მასალები
- ✓ გარე შეფასების (აკრედიტაციის დასკვნა) რეკომენდაციების, რჩევების გათვალისწინების ამსახველი მასალები

1.5. აქტივობა: კვალიაფიკაციის ახალ ჩარჩოსთან ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა.

პასუხისმგებელი ერთეული: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი: 01.02.2020 _ 01.08.2021

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები.

1.6. აქტივობა: კვალიაფიკაციის ახალ ჩარჩოსთან ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა.

პასუხისმგებელი ერთეული: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი: 01.02.2020 _ 01.08.2021

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები.

1.7. აქტივობა: კვალიაფიკაციის ახალ ჩარჩოსთან ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა.

პასუხისმგებელი ერთეული: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი: 01.02.2020 _ 01.08.2021

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

✓ ქართველური ენათმეცნიერების საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისი სილაბუსები.

1.8. აქტივობა: კვალიაფიკაციის ახალ ჩარჩოსთან ჟურნალისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა.

პასუხისმგებელი ერთეული: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი: 20.09.2021 _ 31.12.2021

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

✓ ჟურნალისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები

1.9. აქტივობა: კვალიაფიკაციის ახალ ჩარჩოსთან არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა.

პასუხისმგებელი ერთეული: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი: 01.02.2021 _ 01.07.2022

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

✓ არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და შესაბამისი სილაბუსები.

✓

1.10. აქტივობა: კვალიაფიკაციის ახალ ჩარჩოსთან საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა.

პასუხისმგებელი ერთეული: სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი: 21.09.2020 _ 01.07.2022

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები

1.11. აქტივობა: კვალიაფიკაციის ახალ ჩარჩოსთან ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა.

პასუხისმგებელი ერთეული: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი.

განხორციელების პერიოდი: 20.09.2021 _ 31.12.2022

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები.

✓ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება

1.12. აქტივობა: ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება.

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

განხორციელების პერიოდი: ყოველწლიური პროცესი.

დაგეგმილი ბიუჯეტი: 2019 წელს 4000 ლარი.

2020 წელს 1500 ლარი

2021 წელს 800 ლარი

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ ახალი სახელმძღვანელოების, წიგნების სია წლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

1.13. აქტივობა: ელექტრონული ბიბლიოთეკის განვითარება.

პასუხისმგებელი ერთეული: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

განხორციელების პერიოდი: ყოველწლიური (სემესტრების მიხედვით) პროცესი.

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

ამოცანები:

- ✓ ელექტრონული საძიებო სისტემაში ლიტერატურის ასახვა,
- ✓ ლიტერატურის გაციფრულება და PDF ვერსიების ხელმისაწვდომობის გაზრდა,
- ✓ სხვა ციფრული საძიებო სისტემების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ ელექტრონულ კატალოგში ასახული წიგნების რაოდენობრივი მაჩვენებელი

1.14. აქტივობა: საბიბლიოთეკო ქსელებში გაწევრიანების ყოველწლიური განახლება (2019-2021 წლები).

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

განხორციელების პერიოდი: ყოველწლიური პროცესი.

დაგეგმილი ბიუჯეტი: ყოველწლიურად 1200 ლარი.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელის გამოყენების მაჩვენებელი

1.15. აქტივობა: კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიის მოწყობა
(დისტანციური საჯარო ლექციებისთვის)

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

განხორციელების პერიოდი: 2023 წელი

დაგეგმილი ბიუჯეტი: მაღალი ხარისხის ვიდეოთვალი, კომპიუტერი, პროექტორი.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ კონკრეტული აუდიტორია და მასში განთავსებული ტექნიკა.

1.16. აქტივობა: სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

განხორციელების პერიოდი: 2023 წელი

დაგეგმილი ბიუჯეტი: ყოველთვიურად 800 ლ.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, შესაბამისი ხელშეკრულება

1.17. აქტივობა: აუდიტორიების აღჭურვა პროექტორითა და ეკრანით.

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

განხორციელების პერიოდი: ყოველწლიურად ორი აუდიტორია, 2021-2023 წლების
განმავლობაში

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ პროექტორითა და ეკრანით აღჭურვილი სულ 6 აუდიტორია

1.18. აქტივობა: უნივერსიტეტის ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურის
განვითარება

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

განხორციელების პერიოდი: 2019 – 2021

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ გაუმჯობესებული სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები
- ✓ კეთილმოწყობილი რეკრეაციული ზონა - უნივერსიტეტის ეზო

1.19. აქტივობა: საზოგადებასთან საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება: ორენოვანი ვებ-გვერდი, სოციალური ქსელის გააქტიურება, ZOOM პლატფორმა.

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

განხორციელების პერიოდი: 2019 და შემდგომში პერმანენტულად

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ უნივერსიტეტის ვებგვერდი – ქართული და ინგლისური ვერსია
- ✓ ZOOM პლატფორმა
- ✓ უნივერსიტეტის სოციალური ქსელი (აქტიური საკომუნიკაციო საშუალება)

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება (ს/კ.სგ)

2.1. აქტივობა: სამეცნიერო შრომებისა და სამეცნიერო კვლევების განვითარება

პასუხისმგებელი ერთეული: ქართველოლოგიის კვლევის ცენტრი.

განხორციელების პერიოდი: 2019_2022 წლები.

ამოცანები:

- ✓ პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება (შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება, შეფასება და ანალიზი)
- ✓ ელექტრონული სახის „ტბელის უნივერსიტეტის“ სამეცნიერო კრებულის გამოცემა, სამეცნიერო კონფერენციის შრომებზე დაყრდნობით,
- ✓ „ტბელის უნივერსიტეტის“ სამეცნიერო ელექტრონული (PDF ფორმატი) კრებულის გამოცემა და ნაშრომების ანონიმური წესით, შიდა შერჩევისა და გარე რეცენზირების მექანიზმის დანერგვა (2021-2023 წლები),
- ✓ სამეცნიერო კონფერენციებში „ტბელის უნივერსიტეტის“ პერსონალის უნივერსიტეტის სახელით ჩართულობის ხელშეწყობა და გაზრდა (პერიოდული პროცესი),
- ✓ სამეცნიერო კონფერენციებში უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობა და გაზრდა (პერიოდული პროცესი) და ყოველწლიური მონიტორინგი,
- ✓ „ტბელის უნივერსიტეტის“ საფაკულეტო კონფერენციების მოწყობა სისტემატიურად – ყოველწლიურად,

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი, შეფასების მასალები, შედეგების ანალიზი.
- ✓ „ტბელის უნივერსიტეტის“ კრებული
- ✓ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი

2.2. აქტივობა: ქართველოლოგიის კვლევის ცენტრის აუდიტორიის მოწყობა.

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ქართველოლოგიის კვლევის ცენტრი.

განხორციელების პერიოდი: 2022 წელი.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ ქართველოლოგიის კვლევის ცენტრის აუდიტორია

2.3. აქტივობა: „ტბელის უნივერსიტეტის“ შიდა მიზნობრივი კვლევითი პროექტების დაფინანსების მექანიზმის დანერგვა.

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ქართველოლოგიის კვლევის ცენტრი.

განხორციელების პერიოდი: 2023 წელი.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ „ტბელის უნივერსიტეტის“ შიდა მიზნობრივი კვლევითი პროექტების დაფინანსების მარეგულირებელი წესი.
- ✓ შიდა მიზნობრივი კვლევითი პროექტების განხორციელებაში მაგისტრების მონაწილეობის მაჩვენებელი.

2.4. აქტივობა: „ტბელის უნივერსიტეტის“ სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონკურსო პროექტებში.

პასუხისმგებელი ერთეული: ქართველოლოგიის კვლევის ცენტრი, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

განხორციელების პერიოდი: 2021 წელი და შემდგომ (ყოველწლიური პროცესი)

დაგეგმილი ბიუჯეტი: უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსებას არ საჭიროებს.

ამოცანები:

- ✓ ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტების შესახებ პრეზენტაცია,
- ✓ სავარაუდო პროექტების შერჩევა.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ „ტბელის უნივერსიტეტიდან“ წარდგენილი პროექტები შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში.

2.5. აქტივობა: მეცნიერების პოპულარიზაცია საზოგადოებაში.

პასუხისმგებელი ერთეული: ქართველოლოგიის კვლევის ცენტრი, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

განხორციელების პერიოდი: 2021 წელი და შემდგომ (ყოველწლიური პროცესი)

ამოცანები:

- ✓ სკოლებში სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებით საჯარო ლექციების პრაქტიკის შემოღება, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების თანამონაწილეობით.
- ✓ სხვადასხვა თემატიკის საჯარო ლექციების ორგანიზება და მათში საზოგადოების ჩართულობის გაზრდა (ყოველწლიური პროცესი)

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ საჯარო ლექციების გეგმა (შემსრულებლის, შესრულების დროის ჩვენებით),
- ✓ საჯარო ლექციების ამსახველი მასალები

3. სტუდენტური სერვისების განვითარება

3.1. აქტივობა: სტუდენტების და კურსდამთავრებულთათვის კარიერული განვითარების მხარდაჭერა.

პასუხისმგებელი ერთეული: „სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური“, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია,

განხორციელების პერიოდი: 2019 წელი (პერიოდული პროცესი)

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

ამოცანები:

- ✓ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პერიოდული ინფორმირება კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების სამსახურის დებულება,
- ✓ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრის ამსახველი მასალა.

4. ინტერნაციონალიზაციის განვითარება (იტგ)

4.1. აქტივობა: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ჩამოყალიბება და კონტაქტების დამყარება სხვა უნივერსიტეტებთან.

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია,

განხორციელების პერიოდი: 2021- 2023 წლები.

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

ამოცანები:

- ✓ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ჩამოყალიბება. (2019 წელი).
- ✓ მემორანდუმების გაფორმება სხვა უნივერსიტეტებთან და თანამშრომლობის სტრატეგიისა და გეგმების დაზუსტება.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება.
- ✓ მემორანდუმების გაფორმება სხვა უნივერსიტეტებთან და თანამშრომლობის სტრატეგიისა და გეგმების დაზუსტება (2021 –2023 წლები).

4.2. აქტივობა: ორმხრივი ურთიერთობების განვითარება პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

პასუხისმგებელი ერთეული: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

განხორციელების პერიოდი: 2021 - 2022 წლები.

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

ამოცანები:

- ✓ საპარტნიორო ურთიერთობის დამყარება სხვა უნივერსიტეტებთან
- ✓ პარტნიორი უნივერსიტეტებიდან საგანმანათლებლო მიზნებით სასწავლო და სამეცნიერო კადრების მოზიდვა.
- ✓ კონტაქტები Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისთან და სტუდენტებისა და პროფესორების საერთაშორისო მობილობის პროექტების მომზადება. (2021 - 2023 წლები.).

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები

4.3. აქტივობა: სამხრეთ კავკასიის მეზობელი ქვეყნებიდან სტუდენტების მოზიდვა.

პასუხისმგებელი ერთეული: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

განხორციელების პერიოდი: 2020 - 2023 წლები.

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

ამოცანები:

- ✓ აზერბაიჯანიდან (ჰერეთიდან) ჩამოსული სტუდენტებისათვის სისტემური ხასიათის სტუდენტური ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა,
- ✓ „ტბელის უნივერსიტეტის“ შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ფერეიდანთან და „თურქეთის საქართველოდან“ სტუდენტების მოზიდვა.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ სტუდენტთა აქტიური შემეცნებითი ცხოვრების ამსახველი მასალები

5. პერსონალის და ადმინისტრირების განვითარება (პაგ)

5.1. აქტივობა: უნივერსიტეტის ადმინისტრირების განვითარება.

პასუხისმგებელი ერთეული: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

განხორციელების პერიოდი: 2019-2023 წლები.

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები.

ამოცანები:

- ✓ ტრენინგები უნივერსიტეტის ადმინისტრირების მიმართულებით, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის,
- ✓ ტრენინგები სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში,
- ✓ ტრენინგი ელექტრონული საქმისწარმოების მიმართულებით,
- ✓ ტრენინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით,
- ✓ ტრენინგი ბიბლიოთეკის პერსონალის სერვისების განვითარების მიმართულებით,
- ✓ საბიბლიოთეკო სერვისების და პროცედურების შემუშავება (2019 წელი)
- ✓ კადრების დენადობის ყოველწლიური ანალიზის განხორციელება.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ უნივერსიტეტის ადმინისტრირების მიმართულებით ტრენინგების გეგმა-გრაფიკი (შემსრულებლის, შესრულების დროის და თემატიკის ჩვენებით,
- ✓ კადრების დენადობის ანალიზის მაჩვენებელი.

5.2. აქტივობა: სტრატეგიული გეგმის შესრულების უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი ერთეული: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია

განხორციელების პერიოდი: 2019-2023 წლები

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ჯგუფის ყოველწლიური ანგარიში

5.3. აქტივობა: სწავლების ხარისხის მექანიზმების ეფექტურობის განვითარება: „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“.

პასუხისმგებელი ერთეული: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

განხორციელების პერიოდი: 2019-2023 წლები

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები

ამოცანები:

- ✓ პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის გადამზადება პროგრამის განვითარების და ხარისხის განვითარების საკითხებში,
- ✓ სასწავლო და სამეცნიერო პროცესის შეფასებასთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვისა და შეფასების ფორმების დახვეწა, სხვა უნივერსიტეტების გამოცდილების გაცნობა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა. შეფასების მეთოდოლოგიისა და მეთოდების გაცნობა დაინტერესებულ მხარეებზე,
- ✓ ხარისხის მართვის მიმართულებით მეთოდოლოგიური ლიტერატურის ელექტრონული რესურსების ბანკის შექმნა და განთავსება ვებ-გვერდზე.

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ „ტბელის უნივერსიტეტში“ ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების, „ხარისხის კულტურის“ შესახებ ცოდნის დონის ამაღლების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების გეგმა გრაფიკი
- ✓ სასწავლო და სამეცნიერო პროცესის შეფასების კითხვარები,
- ✓ „ტბელის უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდი.

5.4. აქტივობა: აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარება.

პასუხისმგებელი ერთეული: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი.

განხორციელების პერიოდი: 2019-2023 წლები

დაგეგმილი ბიუჯეტი: საოპერაციო ხარჯები

ამოცანები:

- ✓ ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდებში (2019 წელი)
- ✓ ტრენინგი საინფორმაციო ტექნოლოგიებით სწავლებაში (2019 წელი)

შესრულების ინდიკატორები:

- ✓ ტრენინგის მასალები